ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

მე-17 სხდომა

ქალაქი ქუთაისი

2 სექტემბერი 2019 წელი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;

2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;

4. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;

5. თემურ ამყოლაძე - მწერალი;

6. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;

7. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;

8. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;

9. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;

10. ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონული სავაჭრო –სამრეწველო პალატა;

11. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი „დრანდა“;

12. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;

13. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;

14. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;

15. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 15, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 7 წევრი.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

თეონა გიორგაძე - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

დღის წესრიგი

მე-17 სხდომა

1. რეგისტრაცია;

2. მრჩეველთა საბჭოს მიერ მერზე გაცემული რეკომენდაციების მიმდინარეობა

3. პარკინგსერვისის საკითხი (მომხსენებლი მერის მოადგილე ი. უგულავა);

4. მონაწილეობით ბიუჯეტირების პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობა და ქუთაისის ადმინისტარციულ ერთეულებში გასვლითი შეხვედრების დაგეგმვა (მომხსენებელი თეონა გიორგაძე);

5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ, მათ შორის სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით (მომხსენებელი ქუთაისის მერი გ. ჭიღვარია);

6. სხვადასხვა;

7. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

ნოდარ ჯიქიამ(მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) აღნიშნა, ქუთაისის მერი გ.ჭიღვარია იმყოფება დაუგეგმავ შეხვედრაზე, „ტორპედოს" ირგვლივ შექმნილ მწვავე სიტუაციასთან დაკავშირებით, რის გამოც ვერ ესწრება სხდომას, ამიტომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შევიდა ცვლილებები. (მეორე, მესამე და მეხუთე საკითხები გადატანილ იქნა შემდეგ სხდომაზე)

4. თეონა გიორგაძემ (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი) ისაუბრა მონაწილეობით ბიუჯეტირების პროექტთან დაკავშირებით გატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე. აღნიშნა, რომ ჩაიწერა ვიდეო მიმართვები, სოციალურ ქსელებში დეტალურად არის ინფორმაცია წარმოდგენილი, დარიგდა საინფორმაციო ფლაიერები, თუმცა ჯერ-ჯერობით მხოლოდ 16 განაცხადია შემოტანილი, დაგეგმილია გასვლითი შეხვედრების ციკლი ქუთაისის ადმინისტარციულ ერთეულებში და ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, ლია გვენეტაძე, თეიმურაზ ამყოლაძე, გიორგი ჭიჭინაძე, მაია ყუფარაძე, მეგი ნიჟარაძე, ემზარ ღვინიანიძე, თეონა გოგიშვილი.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ ცენტრალურ ბაღში არსებული საპირფარეშოს ანტისანიტარიულ მდგომარეობაზე, რაც მოუგვარებელ პრობლემად რჩება და რადგანაც ტენდერებით ეს საკითხი ვერ გადაიჭრა, საბჭოს წევრების აზრით, მერიამ ქალაქის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს საჭირო თანხები. ასევე, ისევ აქტუალურია ქალაქის წყლით მომარაგების რეაბილიტაციის პროცესის დასრულების საკითხი.

ნოდარ ჯიქიამ (**მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე**) აზრით, რადგანაც ინტენსიურად მიმდინარეობს ვიცე-მერისა და მერიის სამსახურების წარმომადგენლების შეხვედრები მოსახლეობასთან, კარგი იქნება

მრჩეველთა საბჭოს წინაშე, მათ ამ შეხვედრების შესახებ ანგარიში წარმოადგინონ. ასევე, საბჭოს მდივანს ნუგზარ კოხრეიძეს ეთხოვოს მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ნუსხა ხელახლა მიაწოდოს შესაბამის პირებს, რათა მომდევნო სხდომაზე სრული ანგარიში მივიღოთ რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საბჭოს მომდევნო მე-18 სხდომა გაიმართება 27 სექტემბერს 14 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ი. აბრამიძე